საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

2016 წლის ანგარიში

სარჩევი

შესავალი ..... **Error! Bookmark not defined.**

1. ტესტირების მიმართულება ..... **Error! Bookmark not defined.**

ტესტის შექმნის სამსახური 4

ტესტირების კოორდინაციის სამსახური 8

2. ტრენინგების მიმართულება ..... **Error! Bookmark not defined.**

2.1. სოციალური უნარების ტრენინგების სამსახური 13

2.2. იურიდიული ტრენინგების სამსახური 15

2.3. ფინანსური ტრენინგების სამსახური 23

2.4. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური 24

3. პროექტების მიმართულება ..... **Error! Bookmark not defined.**

3.1. პროექტების მართვის სამსახური 26

3.2. პროექტი - „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“ 38

3.3. პროექტი - „50 საჯარო მოხელე“ 44

4. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრი**Error! Bookmark not defined.**

შესავალი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელიც საქმიანობას ახორციელებს, იუსტიციის მინისტრის, 2015 წლის 28 იანვრის N56 ბრძანების საფუძველზე.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიზანია, საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა, სასწავლო პროგრამების განხორციელებით, ასევე, სამინისტროს, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა დაინტერესებული პირების ორგანიზაციული განვითარების, მართვისა და მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა.

2016 წელს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებულ ღონისძიებაში, ტრენინგებისა და პროექტების მიმართულებით, ჩართული იყო 13 029 მონაწილე, ხოლო ტესტირება გაიარა 10070 აპლიკანტმა. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრს ჰყავდა 2042 სტუმარი. ჯამში, იუსტიციის სასწავლო ცენტრის აქტივობებში, 2016 წლის ფარგლებში, ჩართული იყო 25 141 დაინტერესებული პირი.

სასწავლო ცენტრი პირველი საჯარო დაწესებულებაა, რომელმაც ამზომველების სერტიფიკაციის უფლება მოიპოვა – მიიღო შესაბამისი აკრედიტაცია და დადებითად შეფასდა ხარისხის მართვის (ISO/IEC 17024:2012/2014) სტანდარტთან შესაბამისობაზე. სერტიფიკაციის პროცესის მიზანია, უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის კვალიფიციურობისა და კომპეტენტურობის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

2016 წელს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ინიცირებითა და ორგანიზებით, 2016 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე, საქართველოს მასშტაბით, 8 რეგიონში, 33 საზოგადოებრივ ცენტრში განხორციელდა პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 5429 მოქალაქე.

ამავე დროს, დასრულდა პროექტი ,,50 საჯარო მოხელე“, რომლის მიზანია ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საჯარო სამსახურის მუშაობის პრინციპების გაცნობა და პრაქტიკული გამოცდილების მიღება. 2016 წელს, საუკეთესო კანდიდატები გადამზადდნენ ლონდონში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იუსტიციის სამინისტროს სისტემამ უკვე შეიძინა 22 მაღალი კომპეტენციის მქონე ახალგაზრდა, რომელთაგანაც 6 საუკეთესო, 27 ნოემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით, იმყოფებოდა ინგლისში, ენისა და მენეჯმენტის სპეციალისტების საერთაშორისო კოლეჯში (MLS International Collage) ერთთვიან სასწავლო კურსზე ,,მენეჯმენტი, ლიდერობა, ადამიანური კაპიტალის მართვა და საქმიანი კომუნიკაცია“. სწავლა სრულიად დაფინანსდა სასწავლო ცენტრის მიერ.

წლის განმავლობაში, განხორციელებული აქტივობების სტატისტიკური ანალიზი გაკეთდა სამსახურების მიხედვით. სტატისტიკური ანალიზის შედეგები მოცემულია ანგარიშში თვალსაჩინო დიაგრამებისა და ცხრილების სახით.

1.ტესტირების მიმართულება

1.1. ტესტის შექმნის სამსახური

ტესტის შექმნის სამსახური მუშაობს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შექმნაზე.

პროფესიული ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება:

1. არჩევითპასუხიანი ტესტი

2. წერითი დავალება

არჩევითპასუხიანი ტესტი იქმნება საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული/დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული თემატიკის საფუძველზე და მიზნად ისახავს პირის მიერ დაგროვილი ცოდნის შეფასებას. იგივე მიზანს ემსახურება წერითი დავალება, თუმცა ამ შემთხვევაში აპლიკანტმა ღია კითხვებზე უნდა გასცეს პასუხები ან ამოხსნას კაზუსები.

ტესტის შექმნის სამსახურს აქვს არჩევითპასუხიანი ტესტებისა და წერითი დავალებების მომზადების დიდი გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით:

- **იურიდიული**
- **ადამიანური რესურსების მართვა**
- **ფინანსები**

2016 წლის განმავლობაში, ტესტის შექმნის სამსახურმა **15 დაწესებულებას** გაუწია ტესტირების მომსახურება, მათ შორის იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში შემავალ 7 საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და 7 სხვა საჯარო დაწესებულებას. მომსახურება მოიცავდა როგორც *კადრის შერჩევისთვის შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებს*, ასევე *სხვადასხვა სახის სასერტიფიკაციო* და *საკვალიფიკაციო ტესტებს*.

გრაფიკი ასახავს სამსახურის მიერ წლის განმავლობაში შესრულებული საქმიანობის სტატისტიკას მომსახურების დამკვეთი ორგანიზაციების მიხედვით.

ცხრილში მოცემულია სამსახურის წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტები:



1. საკვალიფიკაციო გამოცდა — სსიპ იუსტიციის სახლი — **შეიქმნა 400 ტესტური დავალება რვა საკვალიფიკაციო პოზიციისთვის.**

2.	**საჯარო მოხელეთა სერტიფიცირება**	**სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო**	შეიქმნა 1000 ტესტური დავალება შემდეგ სფეროებში: სამოქალაქო განათლება, ქართული ენა, ზოგადი უნარები.
3.	**ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა**	**სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა**	მომზადდა პროფესიული და ზოგადი უნარების ტესტები. *სასწავლო ცენტრს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით ექსკლუზიურად აქვს მინიჭებული ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების უფლებამოსილება.*
4.	**უძრავ ნივთებზე საკადასტრო ნახაზის შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდა**	**სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის სერტიფიცირების სამსახური**	შეიქმნა 200 ტესტური დავალებისგან შემდგარი საგამოცდო ტესტების ბანკი.

ტესტის შექმნის სამსახურმა 2016 წელს, შეფასების ერთ-ერთ მიმართულებად დანერგა ტესტირება **ქართულ ენაში**. სასწავლო ცენტრმა, 14 აპრილი, დედაენის დღე, ქართული ენის ტესტის შექმნით აღნიშნა. შეიქმნა ორი ტიპის ტესტი:

1. ქართული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი

2. ქართული ენის მართლწერის ტესტი

პირველი განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებისთვისაც ქართული არ წარმოადგენს მშობლიურ ენას (არის მეორე ან უცხო ენა) და აფასებს ყველა ენობრივ უნარს:

- **გაგება**
- **კითხვა**
- **წერა**
- **მეტყველება**

ტესტი შეიქმნა ენობრივი კომპეტენციების შეფასებისთვის ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ სტანდარტზე დაყრდნობით და ადგენს ენის ფლობის შემდეგ დონეებს: **A, B** და **C.** ტესტის საფუძველზე გაიცემა ქართული ენის ფლობის დონის დამადასტურებელი **სერტიფიკატი.**

ქართული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის შექმნა სასწავლო ცენტრს საშუალებას აძლევს კომპლექსურად მიუდგეს ქართული ენის სწავლებას, ვინაიდან ტესტის მეშვეობით განისაზღვრება თუ რა დონეზე ფლობს პირი ენას, რაც სწავლების ეფექტიანობის შეფასების საშუალებაცაა და მიღებული ცოდნის დადასტურების შესაძლებლობაც. აღსანიშნავია, რომ სასწავლო ცენტრი ერთადერთი საჯარო დაწესებულებაა, რომელიც ამგვარ ტესტს ფლობს.

მეორე, ქართული ენის მართლწერის ტესტი აფასებს ქართულ ენაზე გამართულად წერის უნარს და შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- **გრამატიკა**
- **ლექსიკა**
- **პუნქტუაცია**
- **სტილი**
- **ტექსტის რედაქტირება**

2016 წლის აპრილიდან მართლწერის ტესტი აქტიურად გამოიყენება იუსტიციის სამინისტროსა და მის სსიპ-ებში მიმდინარე კონკურსებზე აპლიკანტთა გამართული წერის უნარების შესაფასებლად. წლის განმავლობაში სულ **598** პირს შეუფასდა მართლწერის უნარი.

2016 წლის აპრილსა და ივლისი-სექტემბრის პერიოდში, ტესტის შექმნის სამსახურის ორგანიზებით, სოფლებში: **ფოკა, სადახლო, კაბალი, კაზრეთი,** ჩატარდა **ქართული ენის კურსები** არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის. კურსი მოიცავდა 36 საათზე განაწილებულ სასწავლო პროგრამას, რომელიც მონაწილეთა ენის ფლობის დონეზე იყო მორგებული. სულ 130 პირს გადაეცა კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

2016 წლის დეკემბერში, ტესტის შექმნის სამსახურმა იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით სამინისტროს თანამშრომელთა პიროვნული პროფილები შეადგინა მინესოტას მრავალგანზომილებიანი პიროვნული კითხვარის (MMPI) გამოყენებით. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, როდესაც თანამშრომელთა კარიერული განვითარების მიზნებისათვის პიროვნული კითხვარი იქნა გამოყენებული როგორც დამხმარე საშუალება. აღნიშნული კითხვარის მეშვეობით შესაძლებელია ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება სუბიექტის წამყვანი ემოციური, მოტივაციური და ქცევითი მახასიათებლების შესახებ, კერძოდ: როგორია მისი კომუნიკაციური თავისებურებები; რა პოზიციაში იქნება უფრო წარმატებული; რა არის მისი წამყვანი მოტივაცია და წახალისების რომელი ფორმა იქნება ყველაზე ეფექტიანი; როგორ იქცევა სტრესულ სიტუაციაში და ა.შ.

2017 წლისთვის ტესტის შექმნის სამსახურის უმთავრეს მიზანს შეფასების ახალი ინსტრუმენტების დანერგვა და არსებულის დახვეწა წარმოადგენს.

1.2. ტესტირების კოორდინაციის სამსახური

ტესტირების კოორდინაციის სამსახურის მიზანს წარმოადგენს, იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების განვითარებისა და ეფექტიანი მუშაობისთვის, კვალიფიციური კადრის დაქირავების მიზნით შესარჩევი კონკურსის ეტაპზე ჩართულობას, კერძოდ სასელექციო ტესტირებების ადმინისტრირების უზრუნველყოფა. აგრეთვე საჯარო მოხელეთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საკვალიფიკაციო და სასერტიფიკაციო გამოცდების პროცესის უზრუნველყოფა.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი კოორდინაციას უწევს საკვალიფიკაციო, სასერტიფიკაციო და საკონკურსო ტესტირებების ადმინისტრირებას.

იუსტიციის სამინისტროს საჯარო მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები

ტესტირების კოორდინაციის სამსახურის მომსახურებით სარგებლობს როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებები. ცენტრთან აქტიურად თანამშრომლობს სსიპ - იუსტიციის სახლი, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული ბიურო, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო. გარდა ამისა, 2016 წელს კოორდინაციის სამსახურმა უზრუნველყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისა, იურიდიული დახმარების სამსახურისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ტესტირების ეტაპის უზრუნველყოფა.

ცხრილ N1-ში წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს, სსიპ-ებისა და სხვა სახელმწიფო უწყებებისთვის სხვადასხვა მიზნებით განხორციელებულ ტესტირებებზე გამოცხადებულ აპლიკანტთა რაოდენობა.



ცხრილი N1

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროექტების ფარგლებში განხორციელებული ტესტირება

ტესტირების კოორდინაციის სამსახურმა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული პროექტებისთვის უზრუნველყო მონაწილეთა შერჩევისთვის ტესტირების ადმინისტრირება.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის საზაფხულო სკოლა **-** საზაფხულო სკოლის მონაწილეთა შერჩევის მიზნით ჩატარდა მათემატიკის ტურნირი. ოლიმპიადა გაიმართა საქართველოს 5 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი). მასში მონაწილეობას იღებდნენ მე-9. მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეები. ჯამში ტურნირში მონაწილეობა მიიღო 198-მა მოსწავლემ.

პერსონალური მონაცემთა დაცვის ზამთრის სკოლა **-** საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ერთობლივი პერსონალური მონაცემთა დაცვის ზამთრის სკოლის მონაწილეების შერჩევის მიზნით ორგანიზებულ იქნა ტესტირება ინგლისური ენის ცოდნის შეფასების მიზნით. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა უნივერსიტეტის 237-მა სტუდენტმა.

ადგილობრივი თვითმმართველობა

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის № 73/სა ბრძანების საფუძველზე იუსტიციის სასწავლო ცენტრი 2016 წელს აგრძელებდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის

საატესტაციო ტესტირების ეტაპის ადმინისტრირებას. ტესტირებები მიმდინარეობდა საქართველოს 6 ქალაქში (თბილისი, გურჯაანი, ყვარელი, ახალციხე, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი). ტესტირების კოორდინაციის სამსახურთან ითანამშრომლა 60-მდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ. ტესტირება წლის განმავლობაში ჩაუტარდა 3946 აპლიკანტს.

ცხრილ N2-ში წარმოადგენილია თვითმმართველი ორგანოების ტესტირებებზე გამოცხადებული აპლიკანტების განაწილება რეგიონების მიხედვით.



ცხრილი N2

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 27 ოქტომბრის №1432 ბრძანების საფუძველზე განისაზღვარა ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღი. წინასწარ დამტკიცებულ სამდივნოში შემოსულ იქნა 77 განაცხადი. გამოცდები ჩატარდა 2 ეტაპად. პირველი ეტაპი - ტესტირება ზოგად უნარებში წარმატებით ჩააბარა 16-მა მონაწილემ. მეორე ეტაპი - პროფესიული ტესტირება წარმატებით ჩააბარა 5-მა მონაწილემ.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა სერტიფიკატები გადასცა 5 მომავალ ნოტარიუსს.

იხილეთ ცხრილი 3.



2016 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით ტესტირების კოორდინაციის სამსახურმა მომსახურება გაუწია 11 საჯარო დაწესებულებასა და 60-მდე მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ორგანოს. ტესტირების მონაწილეთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 9290-ს.

სერტიფიკაციის სამსახური

სასწავლო ცენტრი პირველი საჯარო დაწესებულებაა, რომელმაც ამზომველების სერტიფიკაციის უფლება მოიპოვა – მიიღო შესაბამისი აკრედიტაცია და დადებითად შეფასდა ხარისხის მართვის (ისო/იეკ 17024:2012/2014) სტანდარტთან შესაბამისობაზე.

საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388 დადგენილების „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში შეიქმნა სერტიფიკაციის სამსახური.

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-PC-0006

ადასტურებს, რომ

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-ს
პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 3ა

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის
სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
05 სექტემბერი 2016 წ.

ძალაშია
05 სექტემბერი 2020 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

სერტიფიკაციის პროცესის მიზანია უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის კვალიფიციურობისა და კომპეტენტურობის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

სერტიფიკაციის პროცესი გულისხმობს თეორიული და პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებას. 2016 წელს სერტიფიცირება გაიარა 6-მა უფლებამოსილმა პირმა.

2.ტრენინგების მიმართულება

2.1. სოციალური უნარების ტრენინგების სამსახური

სოციალური ტრენინგების სამსახურის მიზანია მომხმარებლის საჭიროებაზე მაქსიმალურად მორგებული ***ტრენინგ–პროგრამებით***, მაღალკვალიფიციური ***ტრენერების*** ჩართულობით, ***სწავლების თანამედროვე მეთოდების*** გამოყენებითა და სასწავლო პროცესების მაღალი ***ხარისხით ადმინისტრირებით*** სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა პიროვნული განვითარების, სოციალური უნარების გაუმჯობესების უზრუნველყოფა, ასევე ორგანიზაციებში მართვის პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

სოციალური ტრენინგების სამსახურის ძირითადი საქმიანობაა ტრენინგისა და განვითარების პროგრამების მართვა (დაგეგმვა, განხორციელება, კოორდინაცია, კონტროლი), შემდეგი მიმართულებებით:

- **პიროვნული განვითარების კურსები** - პიროვნული პოტენციალის რეალიზება, პირადი რესურსების მართვა, პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარება;
- **ორგანიზაციული განვითარების კურსები** - ორგანიზაციული მართვის პროცესების გაუმჯობესება;
- **სპეციფიური კურსები**.

სოციალური მიმართულების ტრენინგისა და განვითარების პროგრამები ხელს უწყობს თანამშრომელთა ცოდნის, უნარების, მოტივაციისა და შრომითი კმაყოფილების გაზრდას, ემოციურ ,,ვენტილაციას“ (განტვირთვას), გუნდური შეჭიდულობის გაზრდას, ეხმარება თანამშრომლებს უკეთ შეასრულონ სამუშაო და მაქსიმალურად მოახდინონ საკუთარი რესურსების/პოტენციალის რეალიზაცია, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის პროდუქტიულობისა და ეფექტურობის ზრდას.

2016 წლის განმავლობაში, სოციალური უნარების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა შინაარსის სასწავლო აქტივობა 138 სხვადასხვა ჯგუფისათვის. ტრენინგი გაიარა სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 2096-მა წარმომადგენელმა.

გარდა ძირითადი საქმიანობისა, სოციალური ტრენინგების სამსახური სრულად იყო ჩართული პროექტის ,,50 საჯარო მოხელე“ მართვის პროცესში და მონაწილეობდა პროექტის ,,სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“ განხორციელების პროცესში:

- ✓ ინოვაციური პროექტი ,,50 საჯარო მოხელე“ – 2016 წლის I კვარტალში განხორციელდა 15 განსხვავებული ტრენინგი 2 ჯგუფისათვის (51 დღე, 180 საათი, სულ 30 სასწავლო ჯგუფი). ასევე, ჩატარდა 10 საჯარო ლექცია და 2 კონფერენცია;
- ✓ რეგიონული პროექტი ,,სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“ - 2016 წელს განხორციელდა სოციალური უნარების მიმართულებით 5 განსხვავებული ტრენინგი, 282 ჯგუფისათვის, რომელშიც 3097 ადამიანი მონაწილეობდა.

2016 წელს სასწავლო აქტივობა განხორციელდა პიროვნული და ორგანიზაციული განვითარების შემდეგ თემებზე:

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1.	რე-ტრენინგი ,,თვითმენეჯმენტი“	394

2.	ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურების სტანდარტები	389
3.	ზოგადი მენეჯმენტი	210
4.	ტრენერთა ტრენინგი	187
5.	გუნდური შეჭიდულობა	154
6.	პრეზენტაციული უნარები	139
7.	პროექტების ინიცირება და მართვა	79
8.	მომსახურების სტანდარტები	74
9.	კომუნიკაციის მართვა	55
10.	მედიაცია	51
11.	დროის მართვა	46
12.	თავისუფალი აზროვნება (საზაფხულო სკოლა)	39
13.	კონფლიქტის მართვა	30
14.	სინდისი - უნივერსალური გასაღები (საჯარო ლექცია)	40
15.	ფონდების მოძიება	31
16.	ემოციური ინტელექტის განვითარება	25
17.	სტრატეგიული დაგეგმვა და ზოგადი მენეჯმენტი	20
18.	მოლაპარაკების უნარები	21
19.	სატელეფონო მომსახურება	19
20.	სტრესის მართვა	18
21.	მედია სპიკერის უნარები	15
22.	მედიაციის პრაქტიკული ანალიზი	14
23.	არტ-თერაპია	13
24.	ხარისხის მართვა	11
25.	კომუნიკაცია და დარწმუნების ტექნიკები	10
26.	ადამიანური კაპიტალის მართვა	8
27.	სოციალური კვლევის მეთოდები	4
სულ:		2096

ანალიზის შედეგები დამკვეთი ორგანიზაციების მიხედვით

სოციალური ტრენინგების მიმართულების სტატისტიკა დამკვეთი ორგანიზაციების მიხედვით:

სოციალური უნარების ტრენინგების მიმართულება	
დამკვეთი ორგანიზაციები	**მონაწილეთა რაოდენობა**
იუსტიციის სახლი (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, ოზურგეთი, გორი, ქუთაისი, თელავი, ზუგდიდი, ახალციხე)	717

საჯარო რეესტრის **ეროვნული სააგენტო**	391
თბილისის მერია, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო	213
დანაშაულის პრევენციის ცენტრი	146
საქართველოს ეროვნული არქივი	101
აღსრულების ეროვნული ბიურო	100
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	100
იუსტიციის სასწავლო ცენტრის ფინანსური ტრენინგების სამსახური	78
საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	62
იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროექტების **მართვის** სამსახური	52
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	18
სმართ ლოჯიქი	11
სტუდენტები	10
კომპანია „ვაიკიკი“	10
სასწავლო ცენტრის იურიდიული ტრენინგების სამსახური	9
სხვა	78
სულ:	**2096**

2.2. იურიდიული ტრენინგების სამსახური

იურიდიული ტრენინგების სამსახური სამართლებრივ თემებზე ტრენინგების და სხვა სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებით უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს სისტემის, ასევე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული საჯარო, თუ კერძო ორგანიზაციის **თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.** სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და ტრენინგების ჩატარების გზით სამსახური მონაწილეობს მიმდინარე **სამართლებრივი რეფორმების იმპლემენტაციში,** ასევე ხელს უწყობს საზოგადოებაში **მართლშეგნების ამაღლებას.**

სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დარგის წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობას და მუდმივად აახლებს ტრენერთა ბაზას. სამსახური ორიენტირებულია სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და სწავლების პროცესის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაზე.

ზოგადი ინფორმაცია

2016 წელს იურიდიული ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა **210** განსხვავებული სასწავლო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა **2632** მონაწილე; ჩატარდა ტრენინგი **45** განსხვავებულ თემაზე, მათ შორის ყველაზე მოთხოვნადი ტრენინგების სტატისტიკა მოცემულია #1 დიაგრამაზე.

განხორციელებული სასწავლო ღონისძიებები (ტრენინგი, სემინარი, კონფერენცია, სამუშაო შეხვედრა, მრგვალი მაგიდა და სხვ.) მონაწილეთა 80%-ზე მეტმა შეაფასა დადებითად.

#1 დიაგრამა:



- <u>სატრენინგო თემები და ტრენინგ-მოდულები</u>

ცენტრის ბაზაზე არსებული მზა ტრენინგ-მოდულების გარდა, სამსახური დამკვეთებს სთავაზობს ნებისმიერ სამართლებრივ თემაზე მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სპეციალური ტრენინგ-მოდულის შემუშავებას.

- <u>დამკვეთი პირები</u>

იურიდიული ტრენინგების სამსახური სატრენინგო მომსახურების გაწევით თანამშრომლობს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

#2 დიაგრამა:



- **იუსტიციის სამინისტროს სისტემისთვის განხორციელებული აქტივობები**

სამსახურის უპირველესი დანიშნულებაა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის მომსახურების გაწევა, ასევე ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

#3 დიაგრამაზე წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებისთვის განხორციელებული აქტივობების სტატისტიკა:



- **საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირთა სასერტიფიკაციო პროგრამების ტრენინგი**

2014 წლიდან სამსახური ორგანიზებას უწევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების სასერტიფიკაციო პროგრამების ტრენინგებს.

2016 წელს ჩატარდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს ავტორიზებული პირების სასერტიფიკაციო ტრენინგი და გამოცდა შემდეგ პროგრამებში:

- **განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული წიგნი NAPRWEB 3.5**
- **უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი NAPRREG**
- **გირავნობა/ლიზინგის უფლებათა რეესტრი" MMR**
- **მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის საკითხები ENREG**

ოთხივე პროგრამის სასერტიფიკაციო ტრენინგი გაიარა სხვადასხვა დაწესებულების 384-მა წარმომადგენელმა, ხოლო სასერტიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 398-მა აპლიკანტმა. სტატისტიკა ასახულია #4 დიაგრამაზე:



- **ოპერატორთა მოსამზადებელი კურსები**

იურიდული ტრენინგების სამსახური საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტის ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, 2014 წლიდან რეგულარულად ატარებს ოპერატორთა მოსამზადებელ კურსს. მოსამზადებელი კურსის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევა მაღალი სტანდარტით.

2016 წლის განმავლობაში მომზადება/გადამზადების კურსი გაიარა 129 ოპერატორმა.

„საზოგადოებრივი ცენტრების ოპერატორთა მოსამზადებელი/გადამზადების კურსი“

საზოგადობრივი ცენტრების ოპერატორები (93 მონაწილე);

ლიბერთი ექსპრესის ოპერატორები (36 მონაწილე);

#5 დიაგრამაზე წარმოდგენლია ორივე კურსის მონაწილეთა რაოდენობა:



რეფორმებში მონაწილეობა

იურიდიული ტრენინგების სამსახური აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი რეფორმების განხორციელებაში.

ქვეყანაში მიმდინარე მიწის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით სამსახურის ინიციატივითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ორ დღიანი (16 სთ) ტრენინგები **„მიწის ახალ რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და მუნიციპალიტეტის როლი მიწაზე უფლების დადგენის პროცესში“.** ტრენინგი საკანონმდებლო სიახლეებზე გაიარა 65 მუნიციპალიტეტის **116** წარმომადგენელმა.

რეგიონების განვითარების ხელშეწყობა

იუსტიციის სასწავლო ცენტრის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომელთა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრენინგების ორგანიზებას.

2016 წელს მუნიციპალური მოხელეებისათვის და მუნიციპალიტეტში დასაქმებული სხვა პირებისათვის შეიქმნა 33 სპეციალური სასწავლო პროგრამა. სასწავლო პროგრამებს მიენიჭა აკრედიტაცია და განთავსდა სსიპ ”ვანო ხუხუნაიშვილის სახ. ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის” სასწავლო პროგრამების რეესტრის ვებ-პორტალზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს უკვე აქვთ შესაძლებლობა

სსიპ ,,საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში“ მიიღონ სწავლების მომსახურება მათ უფლებამოსილებებში შემავალ თითქმის ყველა საკითხზე.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები

სამსახურის ინიციატივით და გერმანიის სამართლებრივი განვითარების ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა **კონფერენცია თემაზე „სამოხელეო დანაშაული-თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი** დასჯადი ქმედებები და მათი გამოძიება“. კონფერენციაზე მოხსენებით წარდგნენ ქართველი და გერმანელი ექპერტები.

ღონისძიება მიზნად ისახავდა სამოხელეო დანაშაულის გამოძიების კუთხით გერმანიის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ასევე საქართველოში პროცესის მონაწილე სუბიექტებს შორის პროფესიული დიალოგის ხელშეწყობას.

კონფერენციაში მონაწილეობენ ადვოკატები, მოსამართლეები, პროკურორები და იუსტიციის სამინისტროს მაღალი რანგის თანამდებობის პირები, სულ 19 მონაწილე.

საზოგადოებაში მართლშეგნების ამაღლების ხელშეწყობა

- <u>იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები</u>

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2015/16 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ახორციელებს არჩევით საუნივერსიტეტო საგანს **„საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკა“**.

კლინიკის განხორციელებით სამსახური ახალგაზრდა, მოტივირებული, ენერგიული სტუდენტებისთვის-მომავალი პროფესიონალებისთვის ქმნის პროფესიული განვითარების ერთგვარ პლატფორმას და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტრენერთა ბაზისთვის მუდმივად განახლებად ინტელექტუალურ რესურსს.

„იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის“ ფარგლებში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაიუმჯობესონ ტრენერის უნარ-ჩვევები და მიიღონ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ტრენინგების ჩატარების პრაქტიკული გამოცდილება.

დღემდე „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკა“ განხორციელდა 2015/16 წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში, რომელიც წარმატებით გაიარა ჯამში 22 სტუდენტმა. 2016 წლის შემოდგომიდან დაიწყო მესამე ნაკადის სასწავლო პროგრამა, რომელსაც 2017 წლის თებერვალში დაასრულებს 10 ტრენერი.

კლინიკის მონაწილე ტრენერები აქტიურად არიან ჩართული ცენტრის პროექტებსა და ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და საზოგადოებაში მართლშეგნების ამაღლებისკენ. 2016 წლის განმავლობაში, კლინიკის მონაწილე ტრენერების რესურსით სხვადასხვა აქტუალურ და მნიშვნელოვან სამართლებრივ თემაზე უფასო ტრენინგი ჩატარდა **44** ჯგუფისთვის, რომელსაც ესწრებოდა **377** მონაწილე;

აღსანიშნავია, რომ პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“ , რომელიც ფარგლებში 3 თვის მანძილზე მიმდინარეობდა ტრენინგები საქართველოს 33 სოფელში, სამართლებრივი ტრენინგების ნაწილში სრულად განხორციელდა კლინიკის ტრენერთა რესურსით. პროექტის ფარგლებში სამართლებრივი ტრენინგები 5 თემაზე **275** ჯგუფში გაიარა ჯამში **2305** მონაწილემ.



უცხო ენის კურსები

იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით იუსტიციის სასწავლო ცენტრი/ იურიდიული ტრენინგების სამსახური ორგანიზებას უწევს უცხო ენების (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული) კურსებს.

2016 წლის ივლისში დასრულდა ბრიტანეთის საბჭოს (British Council) ინგლისური ენის ერთ წლიანი კურსი, რომელიც წარმატებით გაიარა სამინისტროს სისტემაში დასაქმებულმა **173** თანამშრომელმა, მათგან **127**-მა პირმა წარმატებით დაასრულა კურსი და გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი.

2016 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრის ჩათლით იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ორგანიზება გაუწია - ინგლისური ენის კურსს 9 ჯგუფისთვის, რომელსაც დაესწრო ჯამში **54** თანამშრომელი. წლის განმავლობაში ინგლისური ენის ინდივიდუალური კურსი მიმდინარეობდა **5** თანამშრომელთან.

2016 წელს სამინისტროს **28** თანამშრომელმა გაიარა ფრანგული ენის 4 თვიანი კურსი. კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

2.3. ფინანსური ტრენინგების სამსახური

2016 წელს, ფინანსური ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა <u>12 განსხვავებული სასწავლო აქტივობა,</u> რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 216 წარმომადგენელი.

ტრენინგები:

- სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი კურსი (44 მონაწილე)
- საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგების კურსი (62

მონაწილე)
- პროგრამული ბიუჯეტირება - (80 მონაწილე)

განხორციელებული პროექტები: საზაფხულო სკოლა

2016 წლის ივლისში საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა განახორციელა საზაფხულო სკოლის პროექტი.

აღნიშნული საზაფხულო სკოლის მიზანი იყო დამამთავრებელი კლასების სკოლის მოსწავლეებში, გაზრდილიყო ინტერესი საჯარო სამსახურის მიმართ, რათა მათ მომავალი განათლება დაუკავშირონ საჯარო მმართველობის სფეროს.

ასევე მომხდარიყო საქართველოს იუსტიციის სამინიტროს და მისი სერვისების პოპულარიზება

პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით მათემატიკის ტურნირით შეირჩა ათ-ათი მოსწავლე მე-9, მე-10, მე-11 კლასებიდან, რომლებსაც ჩაუტარდათ 7 დღიანი ტრენინგი იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსში. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

1. გუნდური შეჭიდულობის ტრენინგი
2. კომუნიკაციის ტრენინგი
3. საჯარო სამსახურის სპეციფიკის გაცნობა
4. „სამოქალაქო საზოგადოება“
5. ინფორმაციული ტექნოლოგიები

*აღნიშნულ პროექტში კონკურსს გარეშე მონაწილეობაა მიიღო აფხაზეთის სკოლებიდან, ათმა მოსწავლემ .

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისთვის რეგისტრაცია გაიარა 662 მოსწავლემ.

დასახული საბოლოო შედეგი: ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა. მონაწილეთა 80%-ის მიერ გავლილი ტრენინგების მაღალი შეფასება.
მიღწეული საბოლოო შედეგი: სასწავლო აქტივობებში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობა - 186. ჩატარებული ტრენინგების შემთხვევაში მონაწილეთა მიერ დაფიქსირდა 95%-ზე მეტი დადებითი შეფასება.

2.4. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

2016 წლის განმავლობაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა შინაარსის სასწავლო აქტივობა 74 ჯგუფისათვის. ტრენინგი გაიარა სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 703-მა წარმომადგენელმა.

სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო(ადმინისტრირება)

- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დაკვეთით, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს „ინციდენტების მართვა“ - სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის 39 თანამშრომელი;
- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დაკვეთით „შესავალი ინფორმაციულ უსაფრთხოებაში“ - სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 12-მა წარმომადგენელმა;
- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დაკვეთით „ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შიდა აუდიტორი“ - სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 15-მა წარმომადგენელმა;

- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დაკვეთით „ინფორმაციული უსაფრთხოება: შესავალი, დანერგვა და აუდიტი“ - სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 15-მა წარმომადგენელმა;
- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დაკვეთით „ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის რისკების მართვა“ - სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 15-მა წარმომადგენელმა;
- სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დაკვეთით სამუშაო შეხვედრა - 16 წარმომადგენელი;

სსიპ სერვისების განვითარების სააგენტო

სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს დაკვეთით:

- „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა“ - ქალაქ მცხეთის და გორის მუნიციპალიტეტის 40 თანამშრომელი;
- „საბაზისო IT უნარები“ - პროექტის ,,საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისთვის II“-ს ფარგლებში თოთხმეტი საპილოტე ბიბლიოთეკის 12 თანამშრომელი ;
- „მუნიციპალიტეტის მართვის სისტემა(მმს)“ :
    - მცხეთის მუნიციპალიტეტის 20 თანამშრომელი;
    - ყვარლის მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;
    - მცხეთის მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;
    - ბათუმის მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;
    - ყვარლის მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;
    - ქარელის მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;
    - ხობის მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;
    - ახმეტის მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;
    - გორის მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;
    - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;
    - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 15 თანამშრომელი;

- „IT საბაზისო კურსი“ გაიარა გორის მუნიციპალიტეტის 40-მა თანამშრომელმა;

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

- “MS Word” - იუსტიციის სასწავლო ცენტრის 10 თანამშრომლისათვის;
- “MS Excel” - იუსტიციის სასწავლო ცენტრის 19 თანამშრომლისათვის;
- “MS PowerPoint” - კერძო პირები 4 მონაწილე;
- “MS Excel” - კერძო პირები 5 მონაწილე;
- „უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების საბაზისო კურსი“ - კერძო პირებმა და სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 37-მა წარმომადგენელმა.
- „გეოდეზია-კარტოგრაფიის თეორიული კურსი“ კერძო პირებმა და სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 36-მა წარმომადგენელმა.
- „გეოსაინფორმაციო სისტემის (გის) საბაზისო კურსი“ კერძო პირებმა და სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 39-მა წარმომადგენელმა.
- „საველე აზომვითი სამუშაოების პრაქტიკული კურსი“ კერძო პირებმა და სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 35-მა წარმომადგენელმა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პროგრამა „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს)“ - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 57 თანამშრომელი;
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შეიქმნა განათლების მიმართულების გრძელვადიანი სტრატეგიისა და მიზნების შემუშავება (განახლება); შემუშავდა აკადემიურ და საჯარო სექტორებში კადრების მომზადების ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებული სასწავლო გეგმებისა და კვალიფიკაციის შეფასების სისტემები.

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

- მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს დაკვეთით ტრენინგი Excel I დონე გაიარა თბილისი მერიის, თბილისი საკრებულოს და თბილისის გამგეობების 20 თანამშრომელმა;
- მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს დაკვეთით ტრენინგი Excel II დონე გაიარა თბილისი მერიის, თბილისი საკრებულოს და თბილისის გამგეობების 20 თანამშრომელმა;

სსიპ იუსტიციის სახლი

- სსიპ იუსტიციის სახლის დაკვეთით, ტრენინგი „Excel Basic+Intermediate“ გაიარა იუსტიციის სახლის 30 თანამშრომელმა;
- სსიპ იუსტიციის სახლის დაკვეთით, ტრენინგი „Excel Intermediate+Advanced“ გაიარა იუსტიციის სახლის 8 თანამშრომელმა;

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

- სსიპ საკანონმდებლო მაცნეს დაკვეთით „Indesign“ ტრენინგი გაიარა საკანონმდებლო მაცნეს 6-მა თანამშრომელმა;
- სსიპ საკანონმდებლო მაცნეს დაკვეთით „Adobe Photoshop CS6“ ტრენინგი გაიარა საკანონმდებლო მაცნეს 3-მა თანამშრომელმა;

დასახული საბოლოო შედეგი: ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა. მონაწილეთა 80%-ის მიერ გავლილი ტრენინგების მაღალი შეფასება. საგამოცდო ბარიერის დაძლევა მონაწილეთა 70%-ის მიერ.

მიღწეული საბოლოო შედეგი: სასწავლო აქტივობებში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობა - 477. ჩატარებული ტრენინგების შემთხვევაში მონაწილეთა მიერ დაფიქსირდა 80%-ზე მეტი დადებითი შეფასება. ტესტირება ჩატარების შემთხვევაში საგამოცდო ბარიერი დაძლია მონაწილეთა 87%-ზე მეტმა.

3. პროექტების მიმართულება

3.1. პროექტების მართვის სამსახური

2016 წელს, პროექტების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა 11 პროექტი, რომელშიც ჩართული იყო 1904 დაინტერესებული პირი.

1. საჯარო ლექცია/დისკუსია - „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკა და საჯარო სამსახურის რეფორმა

პარტნიორები:

საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (ანტიკორუფციული საბჭო) სამდივნო - იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი და საჯარო სამსახურის ბიურო

მოკლე აღწერა:

კამპანიის ფარგლებში, 2016 წლის მარტი-მაისის პერიოდში, ყოველ ხუთშაბათს სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეხვედროდნენ ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოსა (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს) და საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლებს და დისკუსიები გამართონ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკასა და სტრატეგიული დოკუმენტების, ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივასა და საჯარო სამსახურის სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ.

მიზანი:

საჯარო ლექციების მიზანი არის სტუდენტების ცნობიერების ამაღლება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკასა და სტრატეგიული დოკუმენტების, ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივასა და საჯარო სამსახურის სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ.

N	უნივერსიტეტის სახელწოდება	მარტი	აპრილი	მაისი	დამსწრეთა რაოდენობა
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	10 მარტი			32
2	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	17 მარტი			11
3	აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	24 მარტი			30
4	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	31 მარტი			20
5	საქართველოს უნივერსიტეტი		7 აპრილი		10
6	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი		14 აპრილი		20
7	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი		21 აპრილი		36
8	კავკასიის უნივერსიტეტი			5 მაისი	19
9	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი			19 მაისი	17
10	GIPA (საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი)			25 მაისი	18

ჯამი	213

პროექტში მონაწილეობა მიიღი **213** სტუდენტმა.



2. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იმიტირებული სასამართლო პროცესი

2016 წლის 30 მარტიდან, 18 მაისის ჩათვლით, განხორციელდა პროექტი, სტუდენტებისთვის - ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იმიტირებული სასამართლო პროცესი.

პროექტის პარტნიორები:

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ევროპის საბჭო, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტი

პროექტის მიზანი:

პროექტი მიზნად ისახავს, საქართველოს მასშტაბით, სტუდენტებში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს საქმიანობისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების შესახებ, სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას, ასევე, მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

შეჯიბრის ეტაპები:

I ეტაპი - წერილობითი პოზიციების მომზადება; რეგისტრირებულ გუნდებს, საქმე გადაეგზავნებათ და მიეცემათ ვადა წერილობითი პოზიციების მოსამზადებლად
II ეტაპი - წერილობითი პოზიციების შეფასების შედეგად არჩეული 4 გუნდის ზეპირი გამოსვლები, რის შედეგადაც აირჩევა 2 გუნდი
III ეტაპი - ფინალი - გამოვლენილი საუკეთესო 2 გუნდის საფინალო ზეპირი გამოსვლა და გამარჯვებული გუნდის გამოვლენა

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იმიტირებული შეჯიბრის ფინალის დასრულების შემდეგ, გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი, რომლის წევრებსაც გადაეცა შეჯიბრში გამარჯვების დამადასტურებელი სერთიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები, ხოლო, შეჯიბრში მონაწილე დანარჩენ სტუდენტებს - მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები. ფინალში გაიმარჯვა თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდმა.

- პროექტის პრეზენტაცია (47 მონაწილე)
- ნახევარ ფინალი (16 მონაწილე)
- ფინალი (8 მონაწილე)

3. ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

2016 წლის 14 მარტიდან 29 მაისის ჩათვლით, სტუდენტებისთვის განხორციელდა პროექტი, ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში.

პროექტის პარტნიორები: წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი.

პროექტის მიზანი:

პროექტი მიზნად ისახავს, საქართველოს მასშტაბით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული ან საერთაშორისო სამართლის ბაკალავრიატის (მე-2, მე-3, მე-4 კურსის) და მაგისტრატურის სტუდენტების ცნობიერების ამაღლება და ცოდნის გაღრმავება, საერთაშორისო სამართლის კუთხით.

ეტაპები:

14.03.2016 - სააპლიკაციო პაკეტი ხელმისაწვდომია, რეგისტრაციის დაწყება;
11.04.2016 - შევსებული სააპლიკაციო პაკეტის გაგზავნის ბოლო ვადა;
18.04.2016 - გუნდებს ეცნობებათ შესარჩევი ეტაპის შედეგები;
20.04.2016 - გუნდები ადასტურებენ თავიანთ მონაწილეობას შეჯიბრში;
მაისი - ინტენსიური სალექციო კურსი;
27.05.2016 - 29.05.2016 - ფინალი ყვარლის სასწავლო ცენტრში

გუნდის წევრთა ტრანსპორტირების, განთავსებისა და კვების ხარჯი დაიფარა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ.



საბოლოოდ, გამოვლინდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი გამარჯვებული გუნდი, რომლებიც დაკომპლექტებული იყო შემდეგი სტუდენტებისგან:



გარდა ზემოაღნიშნულისა, დამატებით გამოვლინდა შემდეგი სახის 2 გამარჯვებული:





საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ, ფინალური რაუნდის ყველა მონაწილეს გადაეცა ეროვნულ შეჯიბრში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (გამარჯვებული გუნდის მონაწილეებს გამარჯვების დამადასტურებელი სერთიფიკატი) და სხვადასხვა სიმბოლური საჩუქარი (თემატური ლიტერატურა).

- სალექციო პროგრამა (45)
- ტესტირება (45)
- ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრის ფინალი (18)

4. წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია

2016 წლის 24 აპრილს, წიგნის და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე, ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში, ერთობლივად აღინიშნა, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის და დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ.

კონფერენციის მიზანია, საავტორო უფლებების შესახებ, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ამ სფეროში **კახეთის რეგიონის ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა.**

კახეთის რეგიონის ახალგაზრდები, გაეცნენ ინტელექტუალური საკუთრების ზოგად მიმოხილვას, საავტორო და მომიჯნავე უფლებების საკანონმდებლო რეგულირებას, ასევე, საავტორო უფლებებს, საგამომცემლო საქმიანობაში. მონაწილეები, აქტიურად იყვნენ ჩართულები დისკუსიაში.

კონფერენციის მომხსენებლები წარმოდგენილნი იყვნენ პარტნიორი ორგანიზაციებიდან:

- **ნიკოლოზ გოგილიძე,** საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე
- **სიფიო მუჯირი,** საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე
- **გიგა კობალაძე,** საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე

ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში გამართულ კონფერენციაში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა, ყვარლისა და გურჯაანის საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.



5. ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტი იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და საკანონმდებლო მაცნეში

2016 წლის 27 მაისს, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ინსტიტუციური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ეწვივნენ.

ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა, იუსტიციის სასწავლო ცენტრის სატრენინგო და ტესტირების სივრცე დაათვალიერეს.

ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტის მონაწილე სტუდენტებს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის საქმიანობის სპეციფიკა იუსტიციის სასწავლო ცენტრის სოციალური ტრენინგების სამსახურის პირველი რანგის ტრენერმა *ცვატა ბერძენიშვილმა* გააცნო. ხოლო, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საქმიანობის შესახებ სტუდენტებს საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული და ბეჭდური გამომცემლობის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი *ნინო კვარაცხელია* და საკანონმდებლო მაცნეს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მარკეტინგის სამსხურის მრჩეველი *მიხეილ დავიდოვი* ესაუბრნენ.

ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტის *მიზანი* იყო საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლების სტუდენტებისათვის საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და საკანონმდებლო მაცნეს საქმიანობის სპეციფიკის გაცნობა.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გამართულ ინსტიტუციურ სასწავლო ვიზიტში სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ***იურიდიული ფაკულტეტის 18 სტუდენტი მონაწილეობდა.***

მას შემდეგ, რაც სტუდენტები საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და საკანონმდებლო მაცნეს საქმიანობის სპეციფიკას გაეცნენ, სასწავლო ვიზიტის მონაწილე სტუდენტებს პრეზენტაციული უნარების შესახებ მასტერკლასი ჩაუტარდათ. მასტერკლასი იუსტიციის სასწავლო ცენტრის სოციალური ტრენინგების სამსახურის პირველი რანგის ტრენერმა *ცვატა ბერძენიშვილმა* ჩაატარა.

- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები (18)

6. საზაფხულო სკოლა თემაზე „ადამიანის უფლებები“

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ინიცირებით და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) და ევროკავშირის (EU) ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ ფინანსური მხარდაჭერით, 2016 წლის 25-29 ივლისს, ყვარლის სასწავლო ცენტრში განხორციელდა საზაფხულო სკოლა თემაზე - „ადამიანის უფლებები“.

საზაფხულო სკოლის მიზანი იყო, ადამიანის უფლებებით დაინტერესებულ იურისტ სტუდენტთა არეალის გაზრდა, სტუდენტების ცოდნის გაღრმავება ადამიანის უფლებების მიმართულებით, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და სამართლის პოპულარიზაცია. შესაბამისად, საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ

საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სკოლის/იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მესამე და მეოთხე კურსის, ასევე, მაგისტრატურის სტუდენტებს. შემოსული განაცხადების საფუძველზე, ესესა და სამოტივაციო წერილის გათვალისწინებით, **შეირჩა იურიდიული ფაკულტეტის 20 სტუდენტი.**

საზაფხულო სკოლის ფარგლებში, მონაწილეებმა სიღრმისეული და კომპელქსური ინფორმაცია მიიღეს შემდეგ თემებზე:

- პირადი ცხოვრება
- რელიგია
- შეკრება, მანიფესტაცია
- დისკრიმინაცია
- ადამიანის უფლებები და დღევანდელი მსოფლიო (მიგრაცია, ლტოლვილები)
- გამოხატვის თავისუფლება
- წამება და არაადამიანური მოპყრობა

მომხსენებლების როლში, წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი ექსპერტები:

- **ბესარიონ ბოხაშვილი** - გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადენელი სამხრეთ კავკასიაში ადამიანის უფლებათა ოფიცერი
- **ირაკლი ყანდაშვილი** - საქართველოს სასამართლო მედიატორთა ასოციაცია
- **ანდრო დგებუაძე - არაფორმალური ტრენინგი**
- **ვასილ გონაშვილი** - სამართლის დოქტორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- **კონსტანტინე კორკელია** - საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში
- **გიორგი მშვენიერაძე** - თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის აკადემიური თანადირექტორი
- **რუსუდან ტუშური** - UNDP-ს წარმომადგენელი

საზაფხულო სკოლისადმი დამოკიდებულების შეფასება



- შემოსული განაცხადები (134)
- საზაფხულო სკოლის განხორციელება - იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები(20)

7. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

30 ივლისი ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა, თარიღს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ტრეფიკინგის თემაზე მომზადებული ლექციათა ციკლით შეუერთდა.

2016 წლის 30 ივლისს, საქართველოს 26 საზოგადოებრივ ცენტრში, ჩატარდა ტრენინგები თემაზე "ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის)პრევენცია".

პროექტი განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან, დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, ასევე, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის აქტიური მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია თუ რა არის ტრეფიკინგი, რა სამართლებრივი თუ ინსტიტუციური მექანიზმებით ებრძვის სახელმწიფო ამ დანაშაულს, როგორ უნდა დაიცვან თავი შრომითი თუ სექსუალური ექსპლუატაციისგან, ვის უნდა მიმართონ ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევის დროს და რა სახელმწიფო სერვისებია ხელმისაწვდომი ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის.

ტრეფიკინგის პრევენციის შესახებ ტრენინგების შედეგად, ცნობიერება აუმაღლდა 300-მდე მოქალაქეს **(231 მონაწილე 26 საზოგადოებრივი ცენტრის მონაცემებით).** ასევე, ტრენინგის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს გადაეცათ ტრეფიკინგის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები.

8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზამთრის სკოლა

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა, გაეროს და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის "ადამიანის უფლებები ყველასათვის" ფარგლებში, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობით, 2016 წელს, გამოცხადა სტუდენტების მიღებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზამთრის სკოლაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზამთრის სკოლის მიზანია, იურიდიული და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, თანამედროვე ეპოქაში პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სტუდენტები, სკოლის გავლის შედეგად, შეიძენენ ცოდნას, თუ რატომ და როგორ უნდა დაიცვან საკუთარი და სხვისი უფლებები. აქტიური და ინფორმირებული ახალგაზრდები - კი, ხელს შეუწყობენ საზოგადოებაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის დამკვიდრებას.
ზამთრის სკოლაში, ლექციებს წაიკითხავენ როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ექსპერტები.

სასწავლო პროგრამა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა;
- პერსონალური მონაცემების დაცვა თანამედროვე ეპოქაში (Big Data, სოციალური ქსელები, ინტერნეტზე დაფუძნებული სერვისები და სხვა);
- პერსონალური მონაცემების დაცვა და დანაშაულის პრევენცია (კიბერდანაშაული, ტერორიზმთან ბრძოლა, ტრეფიკინგი და სხვა.);
- ბალანსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის;
- პერსონალური მონაცემების დაცვის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, მონაცემთა დაცვის ევროპული რეფორმა;
- მოქალაქეთა უფლებები და მათი დაცვის გარანტიები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობა და არსებული პრაქტიკა.

ზამთრის სკოლაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის და ჟურნალისტიკის მიმართულების (ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის და მაგისტრატურის) სტუდენტებს.

ზამთრის სკოლა განხორციელდება ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში, 2017 წლის 27 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით.

- შემოსული განაცხადები (300)
- ტესტირება (273)
- გასაუბრება (76)
- ზამთრის სკოლა განხორციელდება 2017 წელს (25)

9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვირაო სემინარები

2016 წლის 19-20 ნოემბერს და 26-27 ნოემბერს, ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, ორდღიანი სემინარი განხორციელდა. მისი მთავარი მიზანი, სამართლის სფეროში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობით, პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე, მეცნიერული და საჯარო დისკუსიის

წახალისებაა.

საკვირაო სემინარებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან, სამართლის 45 ლექტორმა. სემინარში ჩაერთვნენ როგორც თბილისის, ასევე რეგიონების უნივერსიტეტების ლექტორები, სამოქალაქო და ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის სფეროს სპეციალისტები.

მონაწილეებმა იმსჯელეს საქართველოში პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში არსებულ გამოწვევებზე, ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილებასა და პრაქტიკაზე, მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაზე და მისი აღსრულების მექანიზმებზე. ასევე, განიხილეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ურთიერთმიმართება სხვა უფლებებებთან. მონაწილეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია, ევროპაში მიმდინარე მონაცემთა დაცვის რეფორმასთან დაკავშირებით.

საკვირაო სემინარები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ მხარდაჭერით ჩაატარა. მონაწილეები სპეციალურმა კომისიამ ღია კონკურსის წესით შეარჩია.

- პირველი ჯგუფი (25)
- მეორე ჯგუფი (25)

10. ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება

საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (ანტიკორუფციული საბჭო) სამდივნო - იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტმა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მოდელირებას გამართა**.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრის მეოთხე კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებს. კონკურსის საფუძველზე, 67 აპლიკანტიდან, შეირჩა **14 წარმატებული სტუდენტი,** რომლებსაც იუსტიციის სამინისტროში ჩაუტარდათ საინფორმაციო ლექცია და გადანაწილდა როლები მონაწილეებს შორის. ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირების დასრულების შემდეგ, გაიმართა სერთიფიკატების გადაცემისა და დაჯილდოების ცერემონიალი.

- შემოსული განაცხადები (67)
- ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება (14)

11. გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით, ახორციელებს პროექტს "გიორგი მარგიანი სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე“. პროექტი ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

პროექტი მიზნად ისახავს, თბილისისა და რეგიონების სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე, ასევე, სასამართლოში წარმომადგენლობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას/დახვეწას, სტუდენტთა დაახლოებასა და საკონტაქტო ქსელის შექმნას.

პროექტის პრეზენტაცია (35)
წერითი რაუნდი - გუნდი(44), მონაწილე(186)
ზეპირი რაუნდი - გუნდი (8), მონაწილე (36)

ნახევარფინალი და ფინალი განხორციელდება 2017 წელს

3.2. პროექტი - სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ინიცირებითა და ორგანიზებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, 2016 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე, საქართველოს მასშტაბით, 8 რეგიონში, 33 საზოგადოებრივ ცენტრში განხორციელდა პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება".

პროექტის მიზანი იყო სწავლებისა და განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობის გზით სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება. ასევე, პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. სასწავლო პროგრამა სოფლად მცხოვრებთა ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებით შეირჩა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე იყო ორიენტირებული. ტრენინგები მიზნად ისახავდა საქართველოს 33 სოფელში სამართლებრივი და სოციალური მიმართულების ტრენინგების ჩატარებას უფასოდ. პროექტში მონაწილეობით მოსახლეობამ აიმაღლა სამართლებრივი ცნობიერება, რაც წინაპირობაა მათი აქტიურად ჩართვის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პროექტში მონაწილეობის შეეძლო ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებდა შემდეგ კრიტერიუმებს:

- ცხოვრობდა სოფელში, სადაც განთავსებულია საზოგადოებრივი ცენტრი. ამასთანავე, ტრენინგზე დასწრება შეეძლოთ მიმდებარე სოფლის მაცხოვრებლებსაც
- ასაკი - 18 დან -65 წლამდე;
- სურდა გაგეგო მეტი საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ;
- დაინტერესებული იყო სოციალური უნარების განვითარებით.

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება" ფარგლებში სამ თვიანი სასწავლო პროგრამა ჩატარდა შემდეგ სოფლებში (საზოგადოებრივ ცენტრებში): **შაშიანი, სართიჭალა, გომი, რუისი, ჭალადიდი, ხევი, მანგლისი, კოდა, ნიგოითი, ჯვარი, შორაპანი, ყვარელწყალი, მუხაესტატე, გეგუთი, მეჯვრისხევი, კაჭრეთი, ხიდისთავი, ნუკრიანი, კორბოული, ღორეშა, კაზრეთი, შილდა, ორსანტია, ქვემო ნატანები, დაბა ლენტეხი, დაბა ჩაქვი, ხრეითი, რუხი, დიდი ჯიხაიში, მარტყოფი**.

პროექტის შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდათ სასწავლო ცენტრის ვებგვერდის, სოციალური ქსელის, მედია საშუალების, საინფორმაციო შეხვედრებისა და მარკეტინგული აქტივობების განხორციელების გზით. მონაწილეობის მსურველ მოქალაქეებს შეეძლოთ რეგისტრაციის გავლა როგორც სასწავლო ცენტრის ვებგვერდზე (www.tcj.gov.ge) ასევე, სოფელში არსებულ საზოგადოებრივ ცენტრში, ოპერატორის დახმარებით.

მონაწილეთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა სასწავლო პროგრამის პარალელურად, რაც კიდევ უფრო მოქნილს ხდიდა პროექტს და მოსახლეობას ჰქონდა შესაძლებლობა სასურველ დროს და სასურველი თემატიკის ტრენინგზე რეგისტრაციით ჩართულიყო პროექტში. რეგისტრაცია დაიწყო 18 ივნისს და გაგრძელდა ორი თვე, სწავლების პარალელურად.

პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება" ფარგლებში დაგეგმილ სასწავლო პროგრამაში ჯამურად 1251 დაინტერესებული პირი დარეგისტრირდა.



პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროგრამა დაიწყო 2016 წლის 1 ივლისს და გაგრძელდა სამი თვე, 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები ჩატარდა საქართველოს 33 სოფელში მდებარე საზოგადოებრივ ცენტრში, რომელიც შესაბამისი ინფრასტრუქტურით არის აღჭურვილი



სასწავლო პროგრამის ხარისხიანად წარმართვის მიზნით, სოციალური მიმართულებით ტრენერთა შერჩევა განხორციელდა ღია კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობა მიიღო სოციალური მიმართულებით ტრენინგის ჩატარების გამოცდილების მქონე 125 კანდიდატმა, რომელთაგან კვალიფიკაციის/გამოცდილების შეფასებით შეირჩა 28 ტრენერი. სამართლებრივი მიმართულებით ტრენინგები ჩაატარეს "იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის" მონაწილეებმა, დარგის კვალიფიციურმა სპეციალისტებმა.

ტრენერთა შერჩევის ეტაპის დასრულების შემდგომ პროექტის განხორციელებამდე 2016 წლის 24-25 მაისს ყვარლის სასწავლო ცენტრში დაიგეგმა საპროექტო გუნდისა და ტრენერთა ჩართულობით სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო პროექტის ფარგლებში შექმნილი უნიფიცირებული ტრენინგ მოდულების გაცნობა/განხილვა, ახალი სწავლების მეთოდებისა და გამოცდილების გაზიარება, პრაქტიკული სავარჯიშოების ერთობლივად შემუშავება. პროექტის ფარგლებში შერჩეულ ტრენერებს ჩაუტარდათ "ტრენერთა ტრენინგი" (TOT) და გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

პროექტის ფარგლებში სწავლება ჩატარდა კვირაში ორჯერ, ერთი მოდულის ხანგრძლივობა იყო სამი საათი. პროექტის მონაწილეს შეეძლო მისთვის სასურველი თემატიკის ტრენინგს დასწრებოდა ნებისმიერ საზოგადოებრივ ცენტრში.

პროექტის ფარგლებში <u>ხრეითის, კორობულის, სართიჭალის, მარტყოფის და მეჯვრისხევის</u> საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობის აქტივობიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა სხავდასხვა თემატიკის ტრენინგზე ჯგუფების დამატება. აღნიშნულ სოფლებში უმეტეს შემთხვევაში ტრენინგები ჩატარდა სამ-სამი ჯგუფისთვის. თითოეულ მონაწილეს, რომელიც ესწრებოდა ტრენინგს სრულად ან/და მოდულის 50%-ს მაინც, გადაეცა შესაბამისი ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სასწავლო პროგრამის ფარგლებში სამართლებრივი მიმართულებით ჩატარდა **ხუთი სასწავლო მოდული:**

- **სამართალი და ადამიანის უფლებები;**
- **კონსტიტუციურ ორგანოთა სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობა;**

- საკუთრების უფლება, სამეწარმეო და საგადასახადო სამართლის საბაზისო ცნებები;
- რა არის ევროკავშირი;
- რა არის დისკრიმინაცია;

იურიდიული მიმართულებით ტრენინგებს 2016 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით დაესწრო 2305 მსმენელი.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უნარების განვითარების მიზნით, სოციალური მიმართულებით ტრენინგები ჩატარდა ხუთ განსხვავებულ თემაზე:

- ეფექტიანი კომუნიკაცია;
- კონფლიქტის მართვა;
- დროის მართვა;
- პროექტის მართვა;
- პროექტის წერა;

სოციალური მიმართულებით პროექტის ფარგლებში სასწავლო პროგრამას დაესწრო 3105 მსმენელი.

ჯამურად პროექტის ფარგლებში ათ მოდულს დაესწრო 5429 მსმენელი.

სწავლების შედეგიანობისთვის, ტრენინგის ჩატარების წინ მონაწილეები ავსებდნენ პრე-ტესტებს, რის საფუძველზეც განისაზღვრა თუ რა დონეზე ფლობდნენ ტრენინგის თემატიკას. ხოლო, ტრენინგის ბოლოს, ტარდებოდა პოსტ-ტესტირება.

მარტყოფი - „რა არის ევროკავშირი“

სართიჭალა - „სამართალი და ადამიანის უფლებები“ 8-9 აგვისტო

კორბოული - „პროექტის მართვა“ 27-28 ივლისი

დაბა ლენტეხი - „დროის მართვა“ 22-23 აგვისტო

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენრტმა დაინტერესებული პირების მომართვის შესაბამისად, ითანამშრომლა "მოხალისეობის განვითარების პროგრამა- საქართველოს მოხალისე"-სთან, რომელიც მიზნად ისახავს სწორედ რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ქალაქ ზუგდიდში "საქართველოს მოხალისეს" წარმომადგენლებისთვის ტრენინგები ჩატარდა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში (ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა 52). ტრენინგებს დაესწრო სულ 111 მონაწილე. თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ასევე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა, რომელთა თხოვნით ტრენინგი "პროექტის მართვა" ჩატარდა გორის იუსტიციის სახლში. ტრენინგს დაესწრო 47 მსმენელი.

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროექტის ფარგლებში, იუსტიციის სასწავლო ცენტრმა მიზნად დაისახა სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის კონცეფციის მხარდაჭერა და საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებს საშუალება მისცა სახელმწიფო ენის დაუფლებით შეძლონ საკუთარი

უფლებების უკეთ რეალიზება, სახელმწიფო სერვისების მარტივად მიღება და ინტეგრაცია თანამოქალაქეებთან. **ქართული ენის კურსი ჩატარდა არაქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ ოთხ სოფელში: ფოკა, სადახლო, კაბალი და კაზრეთი.**

კურსის დაწყებამდე გამოცხადდა რეგისტრაცია. სწავლების შედეგიანობისთვის, კურსი დაიწყო პრე-ტესტირებით, რის საფუძველზეც განისაზღვრა თუ რა დონეზე ფლობენ კურსზე დარეგისტრირებული პირები ქართულ ენას და ამის გათვალისწინებით შეირჩა სახელმძღვანელო. მიღწეული შედეგის შესაფასებლად კურსის ბოლოს ჩატარდა პოსტ-ტესტირება.



რეგისტრირებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში



მონაწილეთა სტატისტიკა საზოგადოებრივი ცენტრების მიხედვით



მონაწილეთა საშუალო ასაკი საზ. ცენტრების მიხედვით



შენიშვნა: პროექტის ფარგლებში ჯამურად მონაწილეთა საშუალო ასაკი იყო 32 წელი.

მონაწილეთა რაოდენობა ტრენინგ მოდულების მიხედვით



სამართლებრივი მიმართლების ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა საზოგადოებრივი ცენტრების მიხედვით



სოციალურ ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა საზოგადოებრივი ცენტრების მიხედვით



მონაწილეთა რაოდენობა რეგიონების შესაბამისად



შეფასების კითხვარის მიხედვით მონაწილეთა დამოკიდებულება პროექტისადმი



3.3. პროექტი - 50 საჯარო მოხელე

„50 საჯარო მოხელე“ არის საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ინოვაციური სასწავლო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების მომზადებას პროგრესული და თანამედროვე საჯარო სამსახურის განვითარებისთვის. პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდების პროფესიული და პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას, საჯარო სამსახურის სისტემაში ორიენტაციისა და თავის დამკვიდრებისათვის სათანადო ცოდნით აღჭურვას, მათში დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას, რათა წარმატებით გაართვან თავი არსებულ გამოწვევებსა და პასუხისმგებლობით ემსახურონ საზოგადოებას.

სწავლება ეხმარება ახალგაზრდებს, გააცნობიერონ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებში საჯარო ორგანიზაციების მნიშვნელობა და მათი გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე; რაც მთავარია, დაინახონ საკუთარი როლი სახელმწიფო პროცესებში და შესაძლებლობა, რომ ინიციატივებით, ენთუზიაზმითა და ინოვაციების დანერგვით მათ რეალურად შეუძლიათ ცვლილებების განხორციელება და სახელმწიფოს განვითარებაში წვლილის შეტანა.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი ერთადერთი საჯარო უწყებაა, რომელმაც საქართველოში პირველად განახორციელა მსგავსი მასშტაბის პროექტი. პროექტის სრული ციკლი გაგრძელდა 1 წელსა და 5 თვეს და მოიცავდა 5 ძირითად ეტაპს:

I ეტაპი – პროექტის დაგეგმვა;

II ეტაპი – კანდიდატთა შერჩევა;

III ეტაპი – გადამზადება;

IV ეტაპი – პრაქტიკა იუსტიციის სამინისტროში;

V ეტაპი – საუკეთესო კანდიდატების საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრება.

2015 წლის 1 სექტემბერს დაიწყო პროექტში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია, პირველი გამოშვების მისაღებად. კონკურსის წესით შერჩეულმა 50 ახალგაზრდამ, საწყის ეტაპზე ინტენსიური მომზადების ექვსთვიანი კურსი გაიარა, ხოლო შემდეგ – ოთხთვიანი პრაქტიკა იუსტიციის სამინისტროს სისტემის სხვადასხვა სამსახურში.

პროექტის უნიკალურობა განპირობებულია სწავლების მიმართ კომპლექსური მიდგომით და პროექტისთვის სპეციალურად შემუშავებული მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამით, რომელიც აერთიანებს შემდეგ კომპონენტებს (იხ. დანართი N1):

- ✓ გუნდის ფორმირების პროგრამა;
- ✓ ქოუჩინგის პროგრამა;
- ✓ პიროვნული განვითარების კურსი;
- ✓ ორგანიზაციული განვითარების კურსი;
- ✓ პროფესიული განვითარების კურსი;
- ✓ სპეციალური კურსები;
- ✓ მასტერკლასი უცხოელ ექსპერტთან;
- ✓ საჯარო ლექციები;
- ✓ კონფერენცია;
- ✓ სოციალური აქტივობები;
- ✓ ისტორიული ადგილების მონახულება;
- ✓ სამუშაო შეხვედრები და სხვა შემეცნებით/სასწავლო აქტივობები.

სოციალური აქტივობა - პარა-კალათბურთის მატჩი

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროექტი ,,50 საჯარო მოხელე" არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი, რაც დასტურდება რიცხვებში გამოხატული კონკრეტული შედეგებით.

პროექტის წარმატების ინდიკატორები:

- **პროგრესი:** პროექტის ბოლოს, მონაწილეთა თვითშეფასების მონაცემებზე დაყრდნობით, აღმოჩნდა, რომ პროექტის ფარგლებში მათი *ცოდნა 68%-ით,* ხოლო *უნარები – 71%-ით* გაუმჯობესდა;



- **გამოცდა:** მონაწილეთა 77%-მა წარმატებით გადალახა საგამოცდო ბარიერი და გადავიდა სტაჟირების/პრაქტიკის ეტაპზე;

- **პროექტის შეფასება:** პროექტის საბოლოო შეფასების დროს, მონაწილეთა 98%-მა დააფიქსირა ზოგადი კმაყოფილება პროექტთან მიმართებაში;

მონაწილეთა თვითშეფასება

- **საჯარო სამსახურში დასაქმების სურვილი:** მონაწილეთა 94%-მა გამოხატა საჯარო სამსახურში დასაქმების სურვილი;



პროექტის შეფასება



საჯარო სამსახურში დასაქმების სურვილი

- **კრებული:** მონაწილეთა მიერ მომზადდა 11 სტატია სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. 31 მარტს ჩატარდა კონფერენცია და სტატიები გამოიცა კრებულის სახით. სტატიების შინაარსი ნათლად ასახავს ახალგაზრდების ხედვასა და ღირებულებებს;

- **დასაქმება, პრაქტიკა:** იმ კანდიდატებმა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს 4-თვიანი სტაჟირების ეტაპი, შემდეგ სხვადასხვა ფორმატით გააგრძელეს სისტემაში მუშაობა. ასეთი 30 კანდიდატიდან 73% (22 კანდიდატი) დასაქმდა ან აგრძელებს სისტემაში მუშაობას დასაქმების პერსპექტივით.



დასაქმება

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროექტის „50 საჯარო მოხელე“ დახმარებით ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა, გადაედგათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი და კარიერა დაეკავშირებინათ საჯარო სამსახურისთვის, კერძოდ კი იუსტიციის სამინისტროსათვის.

იუსტიციის სამინისტროს სისტემამ უკვე შეიძინა 22 მაღალი კომპეტენციის მქონე ახალგაზრდა, რომელთაგანაც 6 საუკეთესო, 27 ნოემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით, იმყოფებოდა ინგლისში, ენისა და მენეჯმენტის სპეციალისტების საერთაშორისო კოლეჯში (MLS International Collage) ერთთვიან სასწავლო კურსზე ,,მენეჯმენტი, ლიდერობა, ადამიანური კაპიტალის მართვა და საქმიანი კომუნიკაცია“. სწავლა სრულიად დაფინანსდა სასწავლო ცენტრის მიერ.

კეთილი დაჯილდოვდნენ.

„50 საჯარო მოხელე“ არის პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების პლატფორმა, ახალგაზრდებისთვის, რომლებიც საკუთარ კარიერას დაუკავშირებენ საჯარო სამსახურს და თავიანთ ხელწერას შეიტანენ ძლიერი თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს განვითარებაში.

ინგლისში გამგზავრება

დანართიN1. სასწავლო პროგრამა - I ეტაპი

უნიკალური და კომპლექსური სასწავლო პროგრამა მოიცავდა ტრენინგებსა და სხვა სახის სასწავლო/საგანმანათლებლო აქტივობებს. პირველი ეტაპის განმავლობაში მონაწილეებმა უკვე გაიარეს[1]:

პიროვნული განვითარების შემდეგი ტრენინგები:	**პროფესიული განვითარების ტრენინგები:**	**საჯარო ლექციები:**	**სხვა**
✓ კომუნიკაციის მართვა ✓ საჯარო გამოსვლა და პრეზენტაციული უნარები ✓ სტრესის მართვა ✓ დროის მართვა ✓ პროექტების მართვა ✓ კონფლიქტის მართვა და მოლაპარაკების წარმოება ✓ ემოციური ინტელექტის განვითარება ✓ მომსახურების მართვა საჯარო სამსახურებში	✓ საჯარო სამსახურის სისტემა ✓ სამართლის საფუძვლები(ძირითადი ცნებები/ინსტიტუტები/პრინციპები) ✓ საქართველოს კონსტიტუციურ ორგანოთა სისტემა ✓ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ზოგადი მიმოხილვა ✓ სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები ✓ სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები ✓ ზოგადი ადმინისტრაციული სამართალის ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები	✓ თეა წულუკიანი - ,, ქართული სახელმწიფო - დემოკრატიული მშენებლობის გრძელი გზა და დღევანდელი გამოწვევები ✓ მიხეილ გიორგაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - ,,კულტურის სტრატეგია საქართველოში“ ✓ ლევან გიგინეიშვილი - ,, ადამიანის როლი სახელმწიფოში“ ✓ სოსო ფხაკაძე - ,,სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობა“	**გუნდის ფორმირების პროგრამა:** კურსი დაიწყო გუნდის ფორმირების პროგრამით ყვარლის კომპლექსში: გუნდის ფორმირების პროგრამამ ხელი შეუწყო წარმატებული ახალგაზრდების გუნდის შეკვრას, გუნდში კეთილგანწყობილი კლიმატის შექმნას, გუნდის წევრებს შორის მიმღებლობის გაზრდას და პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებას, ასევე, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას. რაც მთავარია, წარმატებულ კანდიდატთა გუნდის განვითარება. **ქოუჩინგისა პროგრამა:** რომელსაც ერიქსონის საერთაშორისო უნივერსიტეტის სერტიფიცირებული ქოუჩი, თინათინ რუხაძე გაუძღვა. **ლიდერობის მასტერკლასი:** რომელიც ნეორო ლინგვისტური პროგრამირების ამერიკული საბჭოს სერტიფიცირებულმა ტრენერმა და მასტერ პრაქტიკოსმა - რადუ სეუკემ ჩაატარა.

[1] სწავლების პირველი ეტაპი (3 თვე) დასრულდა 2015 წლის 28 დეკემბერს.

II ეტაპი[2]

ორგანიზაციული განვითარების შემდეგი ტრენინგები:	პროფესიული განვითარების ტრენინგები:	საჯარო ლექციები:	სხვა
✓ სტრატეგიული დაგეგმვის ტრენინგი ✓ ლიდერობა და გუნდის მართვა ✓ პრობლემის მოგვარება და გადაწყვეტილების მიღება ✓ ორგანიზაციული სტრუქტურა, ცვლილებების მართვა	✓ ეთიკა საჯარო სამსახურში ✓ მმართველობის დონეები - საქ. ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები. ✓ საბიუჯეტო სისტემა ✓ საერთაშორისო ორგანიზაციები ✓ ინფორმაციის საჯაროობა ✓ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი	✓ დიმიტრი სილაქაძე - საქართველოს პირველი რესპუბლიკა" ✓ ნიკოლოზ მელიქაძე -,,პოლიტიკური აზროვნების პრობლემები დემოკრატიის აღმშენებლობაში" ✓ ნიკოლოზ მელიქაძე - „სტრატეგიული აზროვნება“ ✓ ლევან ბერძენიშვილი - „რელიგია და პოლიტიკა“, „სიძულვილის ენა“, „ვაჟა - ჩვენი თანამედროვე“ ✓ ნათია ფერაძე - ,,ცხოვრება ოფისსა და მთას შორის" ✓ ნინო ეგაძე - „მარკეტინგის მნიშვნელობა“ ✓ ბიძინა გუჯაბიძე - ,,როგორ აჯობო საკუთარ თავს“ ✓ ზურაბ სანიკიძე - „ანტიკორუფციული პოლიტიკა; ღია და დემოკრატიული მმართველობა“ ✓ ქარდავა ✓ ბიწკინაშვილი	**მართლწერისა და სტილის საკითხები** და **აკადემიური წერის ტრენინგი,** რომლის მიზანსაც წარმოადგენდა აკადემიური წერის ზოგადი პრინციპების გამოყენებით ანალიტიკური რეფერატის დამუშავება. **მეტყველების კულტურის** კურსი გაჯერებული იყო სავარჯიშოებითა და აქტივობებით, რომლებიც ხელს უწყობს სამეტყველო აპარატის გაუმჯობესებას, გამოთქმებისა და საუბრის მანერის გავარჯიშებას.

[2] სწავლების მეორე ეტაპი (3 თვე) დასრულდა 2016 წლის 31 მარტს. 2016 წლის I კვარტალში განხორციელდა 15 განსხვავებული ტრენინგი 2 ჯგუფისათვის (51 დღე, 180 საათი, სულ 30 **სასწავლო** ჯგუფი). ასევე, ჩატარდა 10 საჯარო ლექცია და 2 კონფერენცია;

4. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრი

2016 წლის განმავლობაში ყვარლის სასწავლო ცენტრში განხორციელდა 69 პროექტი. პროექტში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 2042 ადამიანი. (მონაწილეთა ნაწილი არ სარგებლობდა სასტუმროს მომსახურებით). ორგანიზაციები, რომლებმაც ისარგებლეს ყვარლის კომპლექსით:

1. საეთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (51 მონაწილე);
2. სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (9 მონაწილე);
3. Redbull (42 მონაწილე);
4. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (2 მონაწილე);
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (2 მონაწილე);
6. მთავრობის ადმინისტრაცია (42 მონაწილე);
7. საგარეო საქმეთა სამინისტრო (15 მონაწილე);
8. პროექტ „კლინიკის“ მონაწილეები (18 მონაწილე);
9. პროექტ „50 საჯარო მოხელის“ სამუშაო ჯგუფი (61 მონაწილე);
10. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტესტირება (10 მონაწილე);
11. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (63 მონაწილე);
12. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (46 მონაწილე);
13. ნატოს წარმომადგენლობა საქართველოში (27 მონაწილე);
14. Red Bull (60 მონაწილე);
15. EWM (20 მონაწილე);
16. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (29 მონაწილე);
17. სსიპ იუსტიციის სახლი (5 მონაწილე);
18. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტ**რ**ო (28 მონაწილე);
19. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (30 მონაწილე);
20. ევროპის კავშირი (11 მონაწილე);
21. სსიპ იუსტიციის სახლი (1 მონაწილე);
22. ევროპის კავშირი (13 მონაწილე);
23. Human Rights (50 მონაწილე)
24. ნოტარიუსთა პალატა (61 მონაწილე);
25. ევროპის კავშირი (27 მონაწილე);
26. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (15 მონაწილე);
27. საქპატენტი (65 მონაწილე);
28. ამერიკული საბჭოები (58 მონაწილე);
29. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (42 მონაწილე);
30. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (8 მონაწილე);
31. სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის საზაფხულო სკოლა (43 მონაწილე);
32. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (58 მონაწილე);
33. იუსტიციის სამინისტროს სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების შეხვედრა იუსტიციის მინისტრთან (10 მონაწილე);

34. საზაფხულო სკოლა ადამიანის უფლებებზე (20 მონაწილე);
35. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (62 მონაწილე);
36. საქართველოს ეროვნული არქივი (60 მონაწილე);
37. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ (25 მონაწილე);
38. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (46 მონაწილე);
39. ამერიკული საბჭოები (75 მონაწილე);
40. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი(საზაფხულო სკოლა) (32 მონაწილე);
41. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი (14 მონაწილე);
42. სსიპ იუსტიციის სახლი (41 მონაწილე);
43. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი (8 მონაწილე);
44. ააიპ შენობა ნაგებობების ინსტიტუტი (13 მონაწილე);
45. სსიპ იუსტიციის სახლი (21 მონაწილე);
46. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო (20 მონაწილე);
47. იუსტიციის სამინისტრო (2 მონაწილე);
48. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (51 მონაწილე);
49. სსიპ იუსტიციის სახლი (22 მონაწილე);
50. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი (16 მონაწილე);
51. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (60 მონაწილე);
52. სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (15 მონაწილე);
53. კავშირი საფარი (18 მონაწილე);
54. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (60 მონაწილე);
55. UNDP (8 მონაწილე);
56. UNDP-პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე (35 მონაწილე);
57. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (60 მონაწილე);
58. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (17 მონაწილე);
59. ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (25 მონაწილე);
60. ააიპ შენობა-ნაგებობების ინსტიტუტი (14 მონაწილე);
61. იუსტიციის სამინისტროს სსიპები (38 მონაწილე);
62. სსიპ იუსტიციის სახლი (29 მონაწილე);
63. სსიპ იუსტიციის სახლი (30 მონაწილე);
64. სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (15 მონაწილე);
65. მართვის აკადემია (1 მონაწილე);
66. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო (12 მონაწილე);
67. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (36 მონაწილე);
68. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი (2 მონაწილე);
69. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (17 მონაწილე).